წიგნი II

ევროპის ქვეყნები ერთად მუშაობენ

# თავშესაფარი, ოჯახის წევრების პოვნა და სხვა ქვეყანაში გადაყვანა



# მოგესალმებით!

## ეს ისტორია ოთხ შენნაირ ახალგაზრდას ეხება.

ისინი უსაფრთხოდ ჩამოვიდნენ ევროპაში ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ.
ზოგი ახალგაზრდა მარტო ჩამოვიდა. ზოგი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა.
მათ ბევრი კითხვა აქვთ და ის ადამიანები ეხმარებიან, რომლებიც იმ ადგილას მუშაობენ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

## ეს ისტორია შენც დაგეხმარება!

**გაიგებ:**

→ რას ნიშნავს თავშესაფარი, **ოჯახის წევრების პოვნა და სხვა ქვეყანაში გადაყვანა**
→ რას უნდა ელოდო
→ რატომაა მნიშვნელოვანი შენი მონაწილეობა და ოფიცრებთან თანამშრომლობა
→ ვის შეუძლია შენი დახმარება
→ რა უფლებები გაქვს

**შეგიძლია წაიკითხო ეს ისტორია:**

→ მარტო
→ მეგობართან ერთად
→ ისეთ პირთან ერთად, რომელიც აქ მუშაობს

## არ აჩქარდე. პრობლემა არ იქნება, თუ შეჩერდები და მოგვიანებით გააგრძელებ.

თუ რაიმე გაუგებარია, **სთხოვე ვინმეს აგიხსნას**.
შენი მეურვე, სოციალური მუშაკი ან იურისტი შეძლებენ შენს დახმარებას.

## და ბოლოს, შენ იხილავ:

გვერდს, სადაც მოცემულია ადგილობრივი ინფორმაცია

სახალისო გამოკითხვა

ცარიელი ადგილი, სადაც შეძლებ შენი კითხვების ჩაწერას და საჭირო საკონტაქტო პირების დამატებას

**18 წლამდე ასაკის** პირებს, რომლებიც მარტო ჩამოდიან, უნიშნავენ მეურვეს. ზოგიერთ ქვეყანაში მეურვეს „წარმომადგენელს" უწოდებენ.

ასევე ზოგიერთ ქვეყანაში, თავშესაფრის მოთხოვნას **„საერთაშორისო დაცვის მოთხოვნას"** უწოდებენ.

და ბოლოს, გაითვალისწინე, რომ მიმღებ ცენტრებში, სადაც რჩები, მოწოდებული ყველა სერვისი უფასოა. თუ პერსონალის წევრი თანხას მოგთხოვს, გაესაუბრე ოფიცერს, რომელსაც ენდობი ან შენს მეურვეს.

# გაიცანი ამ ისტორიის
# გმირები

## მუჰამედი

17 წლის ვარ. უმეტესად ბედნიერი ვარ. მსიამოვნებს მეგობრების და ოჯახის წევრების დახმარება, როდესაც შემიძლია.
მარტო ჩამოვედი რამდენიმე კვირის წინ და ბაბუას ვეძებ. მსურს მუშაობის დაწყება.





## აჰმედი

15 წლის ვარ. ჩემს უფროს დასთან, ჟასმინთან ერთად ჩამოვედი, რომელიც ზრუნავს ჩემზე მას შემდეგ, რაც დედა გარდაგვეცვალა. მიყვარს გართობა და ახალი მეგობრების შეძენა. ძალიან მინდა სკოლაში რაც შეიძლება მალე დავბრუნდე. ამჟამად აქ ადგილობრივ ენას ვსწავლობ.

## ჟასმინი

24 წლის ვარ. ჩემს ძმასთან, აჰმედთან ერთად ჩამოვედი, რომელზეც ვზრუნავ, როგორც შემიძლია. ახლახან ჩამოვედით და ვცდილობთ ჩვენს ბიძასთან მოხვედრას, რომელიც გარკვეული პერიოდია ევროპაში ცხოვრობს. მიყვარს სპორტი და კარგად ვთამაშობ ფეხბურთს.



## ადამი

9 წლის ვარ. აქ მარტო ვარ. ამ ეტაპზე არ მსურს საუბარი. აქ ჩამოსვლამდე ბევრი ცუდი რამ გადამხდა თავს. გარკვეული დრო მჭირდება იმისათვის, რომ ხელახლა დავიწყო საუბარი. მაგრამ ჭკვიანი ვარ და ყველაფერი მესმის. კარგი მსმენელი ვარ და სკოლაში სიარული მინდა. მომწონს ყველა ახალი მეგობარი, რომელიც გავიჩინე.





## ქ-ნი ინესი

მეურვე ვარ და ამ მიმღებ ცენტრში ვმუშაობ. ვცდილობ დავეხმარო თავშესაფრის მაძიებელ ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, რამდენადაც შემიძლია. მიყვარს კერძების მომზადება და ბედნიერი ვარ, როდესაც ყველა დაკავებული და აქტიურია. ვარჯიში გვეხმარება ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.



## ბ-ნი ფრედი

მე იურიდიული კონსულტანტი ვარ, ერთგვარი იურისტი. აქ კარგად გადამზადებულ კოლეგებთან ერთად ვმუშაობ. თავშესაფრის მაძიებლებს ვაწვდი ინფორმაციას და ვეხმარები სამართლებრივ საკითხებსა და თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადებში. მიყვარს ფერადი მაისურების ტარება, რომლებზეც გარკვეული მესიჯებია დატანილი.

დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ახალგაზრდა თავშესაფრის მაძიებელს, რომელმაც წაიკითხა ეს ისტორია გამოქვეყნებამდე და დამეხმარა მის დასრულებაში.

ისინი ასევე დამეხმარნენ მთავარი გმირების სახელების შერჩევაში.

ასევე მადლობას ვუხდი შესაბამის ორგანოებს მალტაში და ნიდერლანდებში, რომლებიც დამეხმარნენ თინეიჯერებთან დისკუსიების წარმართვაში.


გამარჯობა, ბ-ნო ფრედ! მოვედით, რათა კითხვები დაგისვათ.
რა თქმა უნდა, შემოდით!
დღეს გვსურს გავიგოთ, თუ რატომ გადაგვიღეს ფოტოები და აგვიღეს თითის ანაბეჭდები ჩამოსვლისას.
კარგი შეკითხვაა!
როდესაც პირი ჩადის ევროკავში პასპორტის ან ვიზის გარეშე, ოფიცრები ჰკითხავენ მას სახელს, გვარს, ასაკს და იმას, თუ რომელი ქვეყნიდან არიან.
თუ 6 წელზე უფროსი ასაკის ხართ, ისინი ფოტოსაც გადაგიღებენ...
...და თითის ანაბეჭდებსაც აგიღებენ.
ფოტოები და თითის ანაბეჭდები, რაც ცნობილია, როგორც ბიომეტრიული მონაცემები, შეყავთ კომპიუტერულ სისტემაში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ევროკავში ჩასული ადამიანების შესახებ.
ეს დაეხმარება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მდებარე თავშესაფრის ორგანოებს თქვენ შესახებ ინფორმაციის მოძიებაში.
ანუ ჩემი ფოტო და თითის ანაბეჭდები მათ მოგვიანებით ჩემს ამოცნობაში დაეხმარება?


დიახ!
ეს ინფორმაცია დაეხმარება შესაბამის ორგანოებს იმის აღრიცხვაში, ვინ ჩადის, სად და როდის, რა მიზნით მოგზაურობენ და ნამყოფია თუ არა პირი ევროპაში.
რა საოცარია, რომ მსოფლიოში არავის აქვს თქვენი იდენტური თითის ანაბეჭდები, არა?
დიახ! თითის ანაბეჭდები უნიკალურია და არ იცვლება ასაკის მატებასთან ერთად...
ბ-ნო ფრედ, მას შემდეგ, რაც ჩემი ფოტო და თითის ანაბეჭდები კომპიუტერულ სისტემაში აისახება, შეუძლია თუ არა ჩემი ქვეყნის მთავრობას ამ ინფორმაციის ნახვა?
არა, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ გაზიარდება თქვენი ქვეყნის მთავრობასთან. ყოველთვის ითანამშრომლეთ ოფიცრებთან და მიეცით ფოტოს გადაღების და თითის ანაბეჭდების აღების უფლება. თუ ამაზე უარს ეტყვით, ეს გამოიწვევს შეფერხებას ან ისე გამოჩნდება, თითქოს აღარ გსურთ თავშესაფრის მოთხოვნა.
თქვენი ფოტო და თითის ანაბეჭდები ასევე დაგეხმარებათ ოჯახის წევრების პოვნაში, თუ ისინი აქ არიან. ისინი ასევე დაგვეხმარება იმის გარკვევაში, უკვე დარეგისტრირებული ხომ არ ხართ თავშესაფრის მოთხოვნით, ასევე უსაფრთხოების საკითხებში.


ყველა პირმა, რომელიც ჩამოდის ქვეყანაში და რომელსაც სურს თავშესაფრის მოთხოვნა, ეს უნდა გააკეთოს პირველივე ქვეყანაში, რომელშიც ჩავა. მნიშვნელოვანია დარჩეთ იმ ქვეყანაში, სადაც დარეგისტრირდით.
ზოგი განმცხადებელი ცდილობს წასვლას შესაბამისი ორგანოების გაუფრთხილებლად.
მეც ასევე. ბაბუის პოვნა მსურს. მას მგზავრობის პროცესში დამაშორეს. იქიდან გამომდინარე, რომ 18 წლამდე ასაკის პირი ვარ, მყავს მეურვე, რომელიც მეხმარება და რომელმაც მირჩია დარჩენა და დახმარების მიღება.
არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც დამეხმარებიან ბაბუის მოძებნაში უსაფრთხოდ, ისე, რომ მარტო გადაადგილება არ მომიწიოს.
ასევე, თუ დავტოვებ ცენტრს, არსებობს რისკი, რომ სხვა ქვეყანაში ზოგიერთ სერვისსა თუ მხარდაჭერაზე წვდომას დავკარგავ.
ზუსტად! თქვენს მეურვეს ყოველთვის ის უნდა, რაც თქვენთვის უკეთესია. ისინი შესაბამის ორგანოებთან ერთად ცდილობენ მარტო ჩამოსული ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.


თუ ცენტრს დატოვებთ და თავშესაფარს მოითხოვთ სხვა ქვეყანაში და არა იქ, სადაც პირველად ჩახვედით და სადაც პასუხისმგებელნი არიან თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვაზე, აღნიშნული სხვა ქვეყნის ორგანოები დაგაბრუნებენ ამ ქვეყანაში. შეგიძლიათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროთ.
რას ნიშნავს გასაჩივრება?
გასაჩივრება ნიშნავს გადაწყვეტილებაზე არდათანხმებას. თუმცა უნდა ახსნათ, თუ რატომ არ ეთანხმებით. თქვენი მეურვე და იურისტი მოგცემენ რეკომენდაციებს.
რა მიზეზები არსებობს იმისთვის, რომ უკან არ დაგაბრუნონ?
თუ გყავთ ოჯახი იმ ქვეყანაში, სადაც გადახვედით ან გაქვთ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა და უნდა გააგრძელოთ დაწყებული მკურნალობა...
მესმის...
ზოგადად, უნდა დარჩეთ იმ ქვეყანაში, სადაც პირველად ჩახვედით, მოითხოვეთ თავშესაფარი და დარეგისტრირდით. ეს ამარტივებს პროცესს როგორც თქვენთვის, ისე შესაბამისი ორგანოებისთვის.


...მაგრამ ლოდინი რთულია... ზოგჯერ ადამიანები, რომლებიც დაგვეხმარნენ აქ მოსვლაში, გვთხოვენ აჩქარებას.
ამ... ადამიანებს, რომლებიც ამას გთავაზობენ, შეიძლება კარგი განზრახვა არ ჰქონდეთ.
ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, როგორიცაა სხვა ქვეყანაში გადასვლა, ყოველთვის გაესაუბრეთ პირს, რომელიც აქ მუშაობს და რომელსაც ენდობით.
სანამ ელოდებით, სხვადასხვა აქტივობით დაკავება და ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან საუბარი ასევე დაგეხმარებათ ფრუსტრაციისას.
გააგრძელეთ სწავლა...
... დაკავდით სპორტით...
... გაერთეთ!
ბავშვმა არასოდეს არ უნდა ჩაალაგოს ჩანთა და წავიდეს. მარტო მგზავრობა სარისკოა.


ვეთანხმები. ჩემს მეურვესთან ერთად დავუკავშირდი ორგანიზაციას, რომელიც ოჯახის წევრებს აერთიანებს.
ოჯახის წევრების ძიების პროცესს ოჯახის წევრების მიკვლევა ეწოდება. ოჯახის წევრების ერთმანეთთან დაკავშირების პროცესს კი ოჯახის გაერთიანება.
როდესაც ვამბობთ ოჯახს, შესაბამისი ორგანოები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ ოჯახის წევრებზე, მაგალითად მშობლებზე, დედმამიშვილებზე, ბებია-ბაბუაზე, ბიძებსა და დეიდებზე.
რა ინფორმაციაა საჭირო ოჯახის წევრების მიკვლევისთვის?
... ისინი გკითხავენ მათ სახელებსა და გვარებს, ბოლოს სად და როდის ნახეთ ისინი, იცით თუ არა სად არიან ისინი და ა.შ.


თქვენი პასუხები დაფიქსირდება ოჯახის წევრების მიკვლევის ფორმაში, რომლის შევსებაშიც მეურვე დაგეხმარებათ. ორგანიზაცია, რომელიც ოჯახის წევრების მოძებნაში გეხმარებათ, შეგატყობინებთ მათი პოვნის შესახებ.
თუ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრები და მეურვე თანახმა ხართ, შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ თქვენს გაერთიანებას. თუ არ გსურთ ოჯახის წევრებთან გაერთიანება, შეგიძლიათ არ განაცხადოთ თანხმობა.
რატომ შეიძლება არ დაეთანხმოს ზოგიერთი პირი გადაწყვეტილებას?
შეიძლება ოჯახის წევრი მოძალადეა. შესაბამისმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, თუ რა არის თქვენთვის საუკეთესო და ყველაზე უსაფრთხო ვარიანტი.
მესმის. ამ... რთულია ოჯახის წევრების მიკვლევის ფორმის შევსება?
არა, თუ გაქვთ საჭირო დოკუმენტები, მაგალითად დაბადების მოწმობა ან მისი ფოტო, რითიც დასტურდება თქვენი ნათესაური კავშირი. შეძლებისდაგვარად სწრაფად გადაეცით ეს დოკუმენტები შესაბამის ორგანოებს.
ანუ ბავშვმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები?
დიახ. იშვიათ შემთხვევებში, ზოგიერთი ქვეყანა გთხოვთ სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებას, მაგალითად სისხლის ან ნერწყვის ნიმუშის აღებას თქვენ შორის კავშირის გადასამოწმებლად.


თქვენი ნერწყვიდან ბევრი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. შეგიძლიათ გადაწყვიტოთ გსურთ თუ არა ამ გამოკვლევის ჩატარება. გაესაუბრეთ თქვენს მეურვეს რჩევის მისაღებად.
გაითვალისწინეთ: თუ შესაბამის ორგანოებს აეჭვებთ ნათესაური კავშირი ან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, მათ შეიძლება არ დაუშვან ოჯახის გაერთიანება. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება.
ბ-ნო ფრედ, ჩვეულებრივ რა დრო სჭირდება ოჯახის გაერთიანებას?
შესაძლოა დროები განსხვავდებოდეს, ამიტომ მომთმენი უნდა იყოთ. მეურვე მოგაწვდით განახლებულ ინფორმაციას.
დაკავდით აქტივობებით, ისწავლეთ ადგილობრივი ენა. ჰკითხეთ მეურვეს, თუ რა აქტივობებში შეგიძლიათ ჩართვა.
ზოგჯერ ვღელავ, რომ ხალხს სულელი ვგონივარ, როდესაც ამდენ შეკითხვას ვსვამ.


მე ბევრ კითხვას ვსვამ. ფიქრობთ, რომ სულელი ვარ?
რა თქმა უნდა არა!
მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი იმაზე მიუთითებს, რომ თანახმა ხართ შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობაზე.
ASYLUM, FINDING FAMILY & RELOCATION
შენიშვნები
ჩაიწერეთ თქვენი შეკითხვები და ინფორმაცია, რომელიც უკვე მიიღეთ.
ახლა მსურს პატარა გამოკითხვა ჩავატარო სხვა ქვეყანაში გადაყვანის შესახებ, რადგან ზოგჯერ შესაბამის ორგანოებს განმცხადებლები ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადაჰყავთ...
შესანიშნავია!

**შეკითხვა 1**

**მითხარით ისეთი სიტუაციის შესახებ, როდესაც შესაბამისმა ორგანოებმა შესაძლოა სხვაგან ან სხვა ქვეყანაში გადაიყვანონ განმცხადებლები.**




**შეკითხვა 2**

**როდესაც ადამიანები სხვა ქვეყანაში გადაყავთ, შეუძლიათ მათ ქვეყნის არჩევა?**




**შეკითხვა 3**

**რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის თანახმა სხვა ქვეყანაში გადაყვანაზე?**



## შეკითხვა 4
## შეიძლება თუ არა გასაჩივრებაზე დიდხანს ფიქრი?



# მნიშვნელოვანი ინფორმაცია

## ამ ქვეყანაში ...

ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია იმის განსაზღვრაზე, თუ რომელ ქვეყანაში მოხდება ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვა, ეწოდება: ____________________________

________________________________________________________________________________________________

ჩემს მეურვესთან შესახვედრად და გასასაუბრებლად შემიძლია დავუკავშირდე: __________

________________________________________________________________________________________________

შემიძლია დავუკავშირდე იურიდიულ კონსულტანტს და უფასოდ მივიღო დამატებითი ინფორმაცია თავშესაფრის მიღების პროცედურის შესახებ ან მივიღო დახმარება, თუ დამჭირდება ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თავშესაფრის მიღების პროცედურის ან გასაჩივრების შესახებ რეკომენდაციებისთვის შემიძლია დავუკავშირდე: ______________________________________________________________________

________________________________________________________________________________________________

თუ აქ მყოფი რომელიმე პირი, მაგალითად ოფიცრები, იურიდიული კონსულტანტები, სოციალური მუშაკები ან ჩემი მეურვე ცუდად მეპყრობა, შემიძლია შევიტანო საჩივარი და დავუკავშირდე: ________________________________________________________________________________

________________________________________________________________________________________________

გადაუდებელ სიტუაციაში შემიძლია დავუკავშირდე სასწრაფო დახმარებას ნომერზე

________________________________________________________________________________________________

ან პოლიციას ნომერზე ______________________________________________________________________

ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ჩემი ძილისთვის უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფაზე, ანუ მიმღებ ცენტრში დაბინავებაზე, ეწოდება: ___________________________

________________________________________________________________________________________________

მიმღებ ცენტრში სერვისები უფასოდ მომეწოდება. თუ პერსონალის წევრი თანხას მომთხოვს, შემიძლია შევიტანო საჩივარი, რისთვისაც უნდა დავუკავშირდე: _______________

________________________________________________________________________________________________

# მნიშვნელოვანი ინფორმაცია

**ამ ქვეყანაში ...**

ორგანიზაციას (ორგანიზაციებს), რომელიც (რომლებიც) დამეხმარება (დამეხმარებიან) ოჯახის წევრების მოძებნაში, ეწოდება: ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების გაერთიანებაზე, თუ ეს ჩემს საუკეთესო ინტერესებშია, არის:

______________________________

______________________________

______________________________

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

# გამოკითხვა

**ვამოწმებ საკუთარ ცოდნას თავშესაფრის მიღების პროცედურის შესახებ!**

☑ მონიშნეთ სწორი პასუხი.

**1** რატომ გადამიღებენ შესაბამისი ორგანოები ფოტოს, ამიღებენ თითის ანაბეჭდებს და შეიყვანენ მათ კომპიუტერულ სისტემაში?

- ◯ a. რომ გაიგონ ვინ ვარ და როდის და სად ჩამოვედი.
- ◯ b. ჩემი ლამაზი თითები კარგად რომ დაათვალიერონ.

---

**2** ეს ორგანოები ამოწმებენ ნამდვილად არსებობს თუ არა ჩემსა და კონკრეტულ პირებს შორის ნათესაური კავშირი, სანამ გაგვაერთიანებენ; მე დაცული ვარ.

- ◯ a. სწორი
- ◯ b. მცდარი

---

**3** მნიშვნელობა არ აქვს მე რა მსურს, ეს ორგანოები ყოველთვის გამგზავნიან ჩემს ოჯახთან, თუ ისინი ევროკავშირში (EU) არიან.

- ◯ a. სწორი
- ◯ b. მცდარი (ორგანოები ყოველთვის მომისმენენ და მეურვე ეცდება საუკეთესო გამოსავლის პოვნას ჩემს კონკრეტულ სიტუაციაში.)

---

**4** შემიძლია ნებისმიერ დროს, უპრობლემოდ გადავიდე სხვა ქვეყანაში.

- ◯ a. სწორი
- ◯ b. მცდარი (უმჯობესია ჯერ მეურვეს გავესაუბრო შესაძლო შედეგებისა და საფრთხეების შესახებ.)

---

**5** პირველი ქვეყანა, სადაც მოვითხოვ თავშესაფარს და სადაც დამარეგისტრირებენ, როგორც წესი, პასუხისმგებელია ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვაზე.

- ◯ a. სწორი
- ◯ b. მცდარი

## გამოკითხვაზე პასუხები

შეკითხვა 1: ა; შეკითხვა 2: ა; შეკითხვა 3: ბ; შეკითხვა 4: ბ; შეკითხვა 5: ა.

# შენიშვნები

# შენიშვნები

GEORGIAN

ეს ბუკლეტი მომზადებულია მხოლოდ ინფორმაციის მოსაწოდებლად. ის არ ქმნის უფლებებს ან მოვალეობებს. ამ მასალის ძირითადი ნაწილი მოწოდებულია EUAA-ს მიერ და ამ ბუკლეტის რეპროდუცირება ან შეცვლა ნებადართულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის EUAA-ს მიერ. EUAA არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბუკლეტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან სხვა პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსზე, სისრულეზე, კანონიერებასა თუ სანდოობაზე. არც EUAA და არც EUAA-ს სახელით მოქმედი სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა გზით იქნება გამოყენებული ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია.

© European Union Agency for Asylum, 2025

